განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №4*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

**მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა**

**მასობრივი კომუნიკაცია/ ჟურნალისტიკა**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

**15.03.2023**

## დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

სახელი ----------ნათია-----

გვარი ----------კუპრაშვილი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| დაწესებულების სახე | 211349192 |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა Mass Communication/Journalism |
| 2 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 3 | კვალიფიკაციის დონე[2] | მეშვიდე |
| 4 | კვალიფიკაციის დასახელება | მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი Master of Masscommunication |
| 5 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3] | |
| 6 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4] | ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა 0321 |
| 7 | სწავლების ენა | ქართული |
| 8 | ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| 9 | განხორციელების ადგილი[5] | მ. კოსტავას. 77, მე-6 კორპ, 0175, თბილისი, საქართველო |
| 10 | საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | აკრედიტირებული N38069 18/01/2022 |
| 11 | გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 28/12/2021 |

---

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

| | | |
|---|---|---|
| 12 | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი | 1 წელი, 2022 წლის 28 დეკემბრამდე |
| 13 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 01.07.2028 |

## საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | ✓ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | ✓ | | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ✓ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | ✓ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | | ✓ | | |

## შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდირებულია გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები და მათი შერჩევის კრიტერიუმები;
2. გაძლიერდეს მედიის და კომუნიკაციის კვლევის მეთოდების, მასკომუნიკაციის თეორიების, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტის და კვლევის სწავლება, (არჩევითი სტატუსით).
3. რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებულ იქნას აკადემიური და სამეცნიერო ლიტერატურა, მკაფიოდ გამოიკვეთოს კვლევის მეთოდოლოგია და ნაშრომები შესრულდეს აკადემიური წესების დაცვით;
4. რეკომენდირებულია დამსაქმებლებთან /პარტნიორებთან ისეთი მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას;
5. რეკომენდირებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში შეფასების მეთოდები დაზუსტდეს სილაბუსის შინაარსის და სწავლის შედეგების შესაბამისად;
6. რეკომენდებულია სამაგისტრო თემის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო თემის შინაარის შესაბამისობა დარგთან, სწავლების საფეხურთან და სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესის სრულყოფილად დაცვა;
7. რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს პერსონალით, რომელსაც უდასტურდება პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის სფეროს შესაბამისი კომპეტენცია შესრულებული კვლევებითა და/ან პრაქტიკული გამოცდილებით;
8. რეკომენდებულია ბიუჯეტში ცალკე მუხლად ჩამოყალიბდეს კვლევითი კომპონენტის მხარდაჭერა;
9. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
10. რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელოს პერიოდული მონიტორინგი პროგრამის განვითარების და დახვეწის მიზნით.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საგანმანათლებლო დაწესებულებამ ექსპერტთა რეკომენდაციების შესრულების მიზნით შექმნა სამუშაო ჯგუფი, პროფესორ გიგლა გობეჩიას ხელმძღვანელობით და სრულად გაითვალისწინა რეკომენდაციები, კონკრეტულად:

---

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების

გაფართოვდა შრომის ბაზრის არეალი, მედიის კვლევის მეთოდების სასწავლო კურსში გაძლიერდა სალექციო თემატიკა , ასევე მრავალფეროვანი გახდა სასწავლო ლიტერატურა. არჩევითი კურსების სახით პროგრამას დაემატა ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი „ ,,მასკომუნიკაციის ძირითადი თეორიები და კონცეფციები“

რეკომენდაციების გაცემის შემდეგ წარმოდგენილია ორი სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც ადასტრურებს რომ მაგისტრანტები უკეთ ფლობენ აკადემიური წერის უნარებს.

წარმოდგენილი მემორანდუმები დამსაქმებლებთან ადასტურებს, რომ გათვალისწინებულია და დაზუსტებულია მისაღებ სტუდენთთა რაოდენობა.

შეფასების მეთოდები შეცვლილია ,,მედიის კვლევის მეთოდების“ სილაბუსსა და ,,პოლემიკურ ოსტატობაში?

მოდიფიცირებული პროგრამა შეფასებულია გარე შემფასებლების მიერ, რომლებმაც პროგრამა შეადარეს იმ უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებს, სადაც მოქმედებს მსგავსი მაგისტრატურის სგანმანათლებლო პროგრამა , შესაბამისი კვალიფიკაციით.

---

პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

## რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია დაზუსტდეს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში;

2. სასურველია, უსდ-მ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ მოიძიოს იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც მაგისტრატურის საგანმანათლებო პროგრამა არის მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა და მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი;

3. სასურველია ,,მედიაგანათლებისა და მედიაწიგნიერების მოდული" პროგრამის მიერ შეთავასებულ იქნას ფაკულტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის არჩევით კურსად, რადგან ეს კურსი უმეტესად სწორედ არა მასკომუნიკაციისა და ჟურნალისტიკის სტუდენტებისთვის არის განკუთვნილი. შესაბამისად, უკეთ უნდა დაზუსტდეს ამ სილაბუსის სწავლების მიზნები და ამოცანები წარმოდგენილი პროგრამისთვის;

4. სასურველია გადაიხედოს ,,მასკომუნიკაციის ტრენდების" სილაბუსი, იგი გარკვეულწილად იმეორებს ,,მედიაგანათლებისა და მედიაწიგნიერების" ასევე სხვა შეთავაზებული კურსების შინაარსებს. ამასთან ნაკლებად პასუხობს კურსის სახელწოდებით შექმნილ მოლოდინებს;

5. სასურველია დაწესებულებამ გააუმჯობესოსსტუდენტთა ინფორმირების ეფექტური მექანიზმი - დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის, კურიკულუმის ფარგლებში თუ კურიკულუმს ფარგლებს გარეთ არსებული სიახლეების შესახებ, მათ შორის, სამეცნიერო კონფერენციებსა, კვლევით აქტივობებსა თუ გაცვლით პროგრამებში სტუდენტების მონაწილეობის მიზნით დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები და უზრუნველყოს როგორც დაწესებულების, ასევე, სხვა სამეცნიერო აქტივობების შესახებ სტუდენტების დროული და ეფექტური ინფორმირება;

6. სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა/გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო სასტიპენდიო ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა სასტიპენდიო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში; უკვე არსებული - "ერაზმუს +"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველჰყოს სტუდენტების სათანადო კადრებად მომზადება, რათა მათ შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა წარმატებით განხორციელდეს;

7. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მაგისტრატურის დებულების მე-3 მუხლში, სადაც გაკეთებულია მითითება "მაგისტრანტის ხელმძრვანელი/ხელმძღვანელების" შესახებ, საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული არ აქვს, თუ რამდენი მაგისტრანტის ხელმძღვანელობა შეუძლია ერთ პროფესორს ერთდროულად. სასურველია, დაწესებულების მიერ განისაზღვროს სამაგისტრო პროგრამის დებულების მესამე მუხლში - შესაბამისი წესი, რომლის მიხედვით დადგინდება, დაწესებულების პროფესორს, რომელიც სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებაში ხელმძღვანელობს, ერთდროულად რამდენი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა შეეძლება;

---

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

8. სასურველია უცხოელი სპეციალისტების მოწვევა, არა მარტო მოკლევადიანი პროექტების გახორციელებისთვის - მასტერ-კლასებისა და ტრენინგების ჩატარების მიზნით, არამედ გრძელვადიანი თანამშრომლობისთვისაც, რაც აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებს საერთაშორისო მედიასივრცესთან ინტეგრირებაში დაეხმარება და ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას და საერთაშორისო სივრცესთან მის ადაპტირებას;

9. სასურველია მოხდეს უნივერსიტეტის ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცის მოწესრიგება და მომზადება იმგვარად, რომ სტუდენტებმა შეძლონ კომფორტულ გარემოში გაიარონ პრაქტიკული მეცადინეობები. და იმუშაონ. ტელევიზიისთვის განკუთვნილი სივრცე იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა რეგულაციის დაცვით მოხდეს ფუნქციონირების განახლება ჰიბრიდულ რეჟიმში, რათა სტუდენტებს მიეცეთ პრაქტიკული სამუშაოების შესრულების საშუალება სხვადასხვა სახის ჟურნალისტური პროდუქტის შესაქმნელად;

10. სასურველია განახლდეს ფაკულტეტის ელექტრონული საიტი, სადაც მოხდება სტუდენტების მიერ პრაქტიკულ მეცადინეობებზე მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტების განთავსება;

11. სასურველია ბიუჯეტში დეტალურად გაიწეროს წიგნადი ფონდის შევსება - გამდიდრების; პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ –ტექნიკური ბაზის შენახვისა და სრულყოფის, სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებისთვის, სტუდენტების სასწავლო, სამეცნიერო და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსებისთვის შესაბამისი ხარჯები;

12. აქტიურად მომზადდეს და დაიგეგმოს ტრეინინგები აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით როგორც განათლების ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით;

13. სასურველია ხარისხის სამსახურმა უზრუნველყოს პროგრამის გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიური ჩართულობა, რისი წინაპირობაა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული სიახლეებისა და თანამედროვე გამოწვევების ეტაპობრივად და სისტემურად გაზიარება სემინარების, ვორკშოპების საფუძველზე;

14. პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის სასურველი იქნება, თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაფასებლად წარდგენილი პროგრამების გარე ექსპერტებისთვის შეიმუშავებენ გარკვეულ მეთოდოლოგიას, რათა შეფასების შედეგებმა აჩვენოს პროგრამის განვითარების შემდომი გზები

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

წარმოდგენილი კურიკულუმის რუკა შეცვლილია და დაზუსტებულია შედეგების ნაწილი სასწავლო კურსებთან შესაბამისობით. გაკეთებულია შედარება სხვა უნივერსიტეტების მსგავს საგანმანათლებლო პროგრამებთან. რჩევების ადრესატ სილაბუსის ავტორებს გათვალისწინებული აქვთ მითითებები და წარმოდგენილია განახლებული სილაბუსები.

## დამატებითი ინფორმაცია[10]

------------------------------------------------------------------------

## რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[12] | **1.საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** |
| კომპონენტის დასახელება[13] | კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები |
| რეკომენდაცია I[14] | რეკომენდირებულია გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები და მათი შერჩევის კრიტერიუმები; |
| შეფასება | რეკომენდაცია გათვალისწინებულია, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამს განხორციელებაში ჩართული პერსონალი ჩაერთო იმ კრიტერიუმების შემუშავებაში, რომლითაც განისაზღვრება შრომის ბაზრის კვლევაში მონაწილე სუბიექტები. |
| რჩევა[15] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | წარმოდგენილი ოქმი და თვითსეფასების დოკუმენტი |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[16] | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება[17] | კომპონენტი 2.3 სასწავლო კურსი |

---

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[16] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[17] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

| | |
|---|---|
| რეკომენდაცია I[18] | გაძლიერდეს მედიის და კომუნიკაციის კვლევის მეთოდების, მასკომუნიკაციის თეორიების, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტის და კვლევის სწავლება, (არჩევითი სტატუსით). |
| შეფასება | არჩევით კურსებს შორის გვხვდება ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი“ და ,,მასკომუნიკაციის ძირითადი თეორიები და კონცეფციები“. მედიის კვლევის მეთოდების „ სილაბუსს დამატებული აქვს დამხმარე ლიტერატურა |
| რჩევა[19] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | შესაბამისი სილაბუსები |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[20] | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება[21] | კომპონენტი 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
| რეკომენდაცია I[22] | რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებულ იქნას აკადემიური და სამეცნიერო ლიტერატურა, მკაფიოდ გამოიკვეთოს კვლევის მეთოდოლოგია და ნაშრომები შესრულდეს აკადემიური წესების დაცვით; |
| შეფასება | რეკომენდაციის გაცემის შემდეგ სამაგისტრო ნაშრომი შესაბამის პროგრამაზე დაიცვა ორმა მაგისტრანტმა, რაც გარკვეულწილად ადასტურებს ამ რეკომენდაციის გათვალისწინებას. |
| რჩევა[23] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | წარმოდგენილი ნაშრომები |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[24] | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |

---

[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[20] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[21] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[24] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

| | |
|---|---|
| კომპონენტის დასახელება[25] | კომპონენტი 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
| რეკომენდაცია I[26] | რეკომენდირებულია დამსაქმებლებთან /პარტნიორებთან ისეთი მემორანდუმების/ხელშეკრულებების გაფორმება/განახლება, რომელიც გაითვალისწინებს სტუდენტთა სავარაუდო რაოდენობას; |
| შეფასება | ხელშკერულებები და მემორანდუმები განახლებულია, მითითებულია სტუდენტთა რაოდენობა |
| რჩევა[27] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | წარმოდგენილი ხელშეკრულებები და მემორანდუმები |
| სტანდარტის დასახელება[28] | **2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება[29] | კომპონენტი 2.6 სტუდენტების შეფასება |
| რეკომენდაცია I[30] | რეკომენდირებულია ზოგიერთ სასწავლო კურსში შეფასების მეთოდები დაზუსტდეს სილაბუსის შინაარსის და სწავლის შედეგების შესაბამისად; |
| შეფასება | მედიის კვლევის მეთოდებისა და პოლემიკის ოსტატობის სილაბუსი დაზუსტებულია ამ მიმართულებით. |
| რჩევა[31] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | წარმოდგენილი სილაბუსები |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[32] | **3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** |
| კომპონენტის დასახელება[33] | კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა |
| რეკომენდაცია I[34] | რეკომენდებულია სამაგისტრო თემის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამაგისტრო თემის შინაარის შესაბამისობა |

---

25 კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
26 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
27 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
28 სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
29 კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
30 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
31 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
32 სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
33 კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
34 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | დარგთან, სწავლების საფეხურთან და სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესის სრულყოფილად დაცვა; |
| შეფასება | როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოდგენილია რეკომენდაციების მიღების შემდეგ შესრულებული სამაგისტრო შრომები, რომელიც ადასტურებს ამ მიმართულებით პროგრამის გაუმჯობესებას |
| რჩევა[35] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები |

| სტანდარტის დასახელება[36] | **4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** |
|---|---|
| კომპონენტის დასახელება[37] | კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი |
| რეკომენდაცია I[38] | რეკომენდებულია პროგრამა გაძლიერდეს პერსონალით, რომელსაც უდასტურდება პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის სფეროს შესაბამისი კომპეტენცია შესრულებული კვლევებითა და/ან პრაქტიკული გამოცდილებით; |
| შეფასება | პერსონალის ჩამონათვალი და სილაბუსები ადასტურებს, რომ პროგრამას დაემატა ორი დოქტორი მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებით |
| რჩევა[39] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | თვითშეფასების დოკუმენტი და სილაბუსები |

| სტანდარტის დასახელება | **4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** |
|---|---|
| კომპონენტის დასახელება | კომპონენტი 4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა |
| რეკომენდაცია II[40] | რეკომენდებულია ბიუჯეტში ცალკე მუხლად ჩამოყალიბდეს კვლევითი კომპონენტის მხარდაჭერა. |

---

[35] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[36] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[37] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[38] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[39] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[40] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| შეფასება | ბიუჯეტში შეტანილია ცვლილება ფაკულტეტის მენეჯერის მიერ |
| რჩევა[41] II | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | თვითშეფასების დოკუმენტი |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** |
| კომპონენტის დასახელება | კომპონენტი 5,1 შიდა ხარისხის შეფასება |
| რეკომენდაცია I[42] | რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად; |
| შეფასება | შიდა ხარისხის სამსახური მოქმედებს |
| რეკომენდაცია II | |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | **5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** |
| კომპონენტის დასახელება | კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
| რეკომენდაცია I[43] | რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელოს პერიოდული მონიტორინგი პროგრამის განვითარების და დახვეწის მიზნით. |
| შეფასება | ხარისხის სამსახური ამოწმებს პროგრამის მიმდინარეობას. |

**თანდართული დოკუმენტაცია[44]**

***ექსპერტის ხელმოწერა***

[41] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[42] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[43] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[44] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა